KA021774095868118

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ. ჭავჭავაძის ქ 10ა
ტელ (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

10a T.Chavchavadze Str.,0108 Tbilisi,Georgia
Tel (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N4/1084

08 / იანვარი / **2018** წ.

შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრს" **(ს/კ 404882294)**
მის: ქ.თბილისი, ატენის ქუჩა **N 6/8,** ბინა **N75**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში (შემდეგში - სააგენტო) შემოსული თქვენი 08.01.2018 წლის N2 წერილის (სააგენტოს რეგ. N1453/ფ) პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრის" (ს/კ 404882294) მიერ დარღვეულია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე - სააგენტო) და შპს „ჰელსი ჯორჯიას" (დღეის მდგომარეობით, შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი") შორის 2011 წლის 31 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების (2011 წლის 15 აპრილის, 2015 წლის 26 ივნისის და 2016 წლის 24 ოქტომბრის ცვლილების ხელშეკრულებების გათვალისწინებით, შემდგომში - ხელშეკრულება) 2.1.5 მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, რისთვისაც ხელშეკრულების 4.3[1] მუხლის თანახმად გეკისრებათ პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან (04.01.2018წ) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სააგენტო ხელშეკრულების 2.1.5 მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის განგისაზღვრავთ დამატებით ვადას, არაუგვიანეს 02.02.2018 წლისა. აქვე გაცნობებთ, რომ დამატებითი ვადა არ აჩერებს პირგასამტეხლოს დაკისრებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო არ არის წინააღმდეგი, წინამდებარე წერილით განსაზღვრულ დამატებით ვადაში უზრუნველყოთ ხელშეკრულების 2.1.5 მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, 01.13.02.007.018 ან/და 01.13.02.007.024 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით სამედიცინო დაწესებულების მშენებლობის ნებართვის მიღება.

სახელმწიფო ვალდებულებათა
მონიტორინგის სამსახურის უფროსი

დიმიტრი შანიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

KA011725812833818

ადრესატი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
განმცხადებელი: ნაირა ასპანიძე
მისამართი: თბილისი ცოტნე დადიანის 141 ბინა33
ტელეფონი: 595422203

განცხადება

გთხოვთ, გასცეთ საჯარო რეესტრის არქივში დაცული საარქივო დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ი:

განაცხადის რეგისტრაციის #:
მისამართი: თბილისი ჩაჩავას ქ N3 საკ.კოდი 01.13.02.007.018 ვალდებულების ჩამონათვალის ყველა დოკუმენტის ასლი,როგორც მითითებულია ამონაწერში
დოკუმენტ(ებ)ის ჩამონათვალი: კერძოდ 1.ხელშეკრულება 2011წ 31 მარტის N1ა.პ. დამოწმ.24,10,2016წ 2, ხელშეკრულება 2011წ 31 მარტი N1ა.პ დამოწმ. 26.06.2015წ 3. ხელშეკრულება 2011წ 31 მარტი N1 ა.პ ცვლილების შეტანა გაფორმებული 15.04.2011წ 4.წერილი N4/20498 დამოწმებული 6,06,2014წ 5,აუქციონის 2011წლის 31 მარტის N1 ა.პ. ნასყიდობის ხელშეკრულება

მესაკუთრე (სახელი, გვარი):
სხვა ინფორმაცია:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011774327645218

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;

ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

3556

04 / იანვარი / 2018 წ.

ნაირა ასპანიძეს
მისამართი: თბილისი, ცოტნე დადიანის 141, ბინა 33

ქალბატონო ნაირა,

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი განცხადების 2018 წლის 04 იანვრის N2793/17 განცხადების შესაბამისად, დანართის სახით გეგზავნებათ მოთხოვნილი დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ი.

დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია ელექტრონული ფორმით წერილზე დატანილი **15** ნიშნა ნომრით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე **www. Napr.gov.ge** ელექტრონული კანცელარიის მეშვეობით.

დანართი: 24 გვერდი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ჰელსი ჯორჯიას" შორის 2011 წლის 31 მარტს გაფორმებულ N1 ა ჯ. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილ(ებ)ის/აქცი(ებ)ის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულებაში" ცვლილების შეტანის თაობაზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ საგენტოსა და შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნულ ცენტრს" შორის 2016 წლის 24 ოქტომბერს დადებული ცვლილების ხელშეკრულება

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, საქართველო

24 ოქტომბერი, 2016

ერთი მხრივ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლე) (შემდეგში, „გამყიდველი") წარმოდგენილი სოფიკო მეშველიშვილის მიერ, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2016 წლის 21 ივნისს გაცემული N4/31191 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

მეორე მხრივ, შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი" (ს.კ. N404882294) (შპს „ჰელსი-ჯორჯიას" უფლებამონაცვლე; ს.კ. N404882294) (შემდეგში, „მყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, ალექსანდრე ხარებავას (პ.ნ. N01024020426) მიერ,

ვმოქმედებთ, „სს „აკად. ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ლარიანი ნომინალური ღირებულების 1,103,372 ცალი აქციის (სახელმწიფო წილი კაპიტალში 100%) საჯარო აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის N1-1/29 ბრძანებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საპრივატიზებო პირობების დადგენის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის N1025 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრის" საქმიანობის ხელშესაწყობად რეგ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ღონისძიებათა განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 აგვისტოს N1733 განკარგულებითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე: სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს „ჰელსი ჯორჯიას" (უფლებამონაცვლე: შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი") შორის 2011 წლის 31 მარტს გაფორმებული N1 ა.ა. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილ(ებ)ის/აქცი(ებ)ის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე (შემდეგში, „ნასყიდობის ხელშეკრულება"), ვაფორმებთ წინამდებარე ცვლილების ხელშეკრულებას (შემდეგში, „ცვლილების ხელშეკრულება") შემდეგზე:

მუხლი 1

1.1. „ნასყიდობის ხელშეკრულების" 2.1.5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1.5 უზრუნველყოს შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრის" (ს.კ. 404882294) საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ჩაჩავას ქ. N3-ში (ნაკვ. 07/018) მდებარე 6267.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე: N1 - საერთო ფართობით 6760.51 კვ.მ. N2, N3, N4, N5 და N6 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.13.02.007.018) ან/და შპს „ინტელ მედის (ს.კ. N404928147) საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ჩაჩავას ქ. N5-ში მდებარე 6488.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე: N1 (მშენებარე), N2, N3, N4, N5, N6 და N7 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.13.02.007.024) 2020 წლის 1 ივლისამდე, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მემკვიდრეობით, სამედიცინო დაწესებულების მშენებლობა, ექსპლუატაციაში მიღება და შესაბამისი ნებართვის მოპოვება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ა) 2017 წლის ბოლომდე - მშენებლობის ნებართვის მიღება;

ბ) 2018 წლის 1 მაისამდე - მშენებლობის დაწყება;

გ) 2020 წლის პირველ ივლისამდე - სამედიცინო დაწესებულების ექსპლუატაციაში მიღება, შესაბამისი ნებართვ(ებ)ის მოპოვება, მათ შორის, კადრების შერჩევა“.

1.2. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 2.1.8 და 2.1.9 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1.8 „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 2.1.5 და 2.1.6 მუხლებით დადგენილი თითოეული ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა „გამყიდველს“ წარუდგინოს „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 2.4 მუხლით გათვალისწინებული აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა.

2.1.9 „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 2.1.7. მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი (ნებართვ(ებ)ის) მოპოვებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა, ხოლო შემდგომ ყოველ ერთ წელიწადში ერთხელ, ხოლო თუ „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია ერთ წელიწადზე ნაკლები, არაუგვიანეს „ხელშეკრულების“ ვადის ამოწურვიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს“ წარუდგინოს „ხელშეკრულების“ 2.4. მუხლით განსაზღვრული შესაბამისი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა ან/და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული წერილი.

1.3. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 2.4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2.4. „ნასყიდობის ხელშეკრულების" 2.1.5, 2.1.6 და/ან 2.1.7 მუხლ(ებ)ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურება განხორციელდება:

ა) შესაბამისი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულების შესრულების თაობაზე და გაცემული უნდა იყოს:

ა.ა) 2017 წლის 1 იანვრიდან - 2018 წლის 1 იანვრამდე - „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში" (შემდგომში - ნუსხა) მითითებული ერთ-ერთი აუდიტორული ფირმის მიერ რომელსაც, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე მიენიჭა დროებითი უფლებამოსილება.

ა.ბ) 2018 წლის 1 იანვრიდან - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული აუდიტორული ფირმის მიერ.

ბ) გარდა ამ პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, „ნუსხაში" მითითებული ნებისმიერი აუდიტორული/საექსპერტო კომპანიის მიერ 2017 წლის 1 მარტამდე გაცემული აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ნუსხაში" მითითებულ შესაბამის აუდიტორულ/საექსპერტო კომპანიასა და „მყიდველს" შორის ამავე აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მომზადების თაობაზე ხელშეკრულება დადებულია 2017 წლის 1 იანვრამდე. ამასთან, „მყიდველის" მიერ ამ პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი აუდიტორულ/საექსპერტო დასკვნა უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების თაობაზე.

„ნასყიდობის ხელშეკრულების" 2.1.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული წერილით, რომელიც უნდა მოიცავდეს რწმუნებას „მყიდველის" მიერ „ნასყიდობის ხელშეკრულების" 2.1.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თაობაზე.

1.4 „ნასყიდობის ხელშეკრულების" 3[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3[1].1 „მყიდველის" მიერ წარმოდგენილი სს „თიბისი ბანკის" მიერ 2015 წლის 12 ივნისს გაცემული N121786-7982711 200 000 (ორასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის 05.01.2021 წლამდე მოქმედი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია (შემდეგში, „საბანკო გარანტია"), (მასში 2016 წლის 13 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) უზრუნველყოფს „მყიდველის" მიერ „ნასყიდობის ხელშეკრულების" 2.1.5 და 2.1.6 მუხლ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულე(ებ)ის შესრულებასა და/ან ამავე ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.

1.5 „ნასყიდობის ხელშეკრულების 4.7[1] და 4.7[2] მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.7[1] „ნასყიდობის ხელშეკრულების" 2.1.8 მუხლით გათვალისწინებული თითოეული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში,

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.7[2] „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 2.1.9 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით“.

1.6. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 6.2, 6.3 და 6.4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.2. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნას პირადად, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

6.3. ხელშეკრულების 6.2. პუნქტის მიზნებისათვის, მხარეთა რეკვიზიტებია:

6.3.1. **„გამყიდველის“ შემთხვევაში:**

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“

მისამართი: ჭოველიძის 10ა (ყოფილი ბელინსკი) ქ. თბილისი

ტელ: +995 32 299 11 05 / +995 32 299 11 11

6.3.2. **„მყიდველის“ შემთხვევაში:**

მისამართი: ატენის ქუჩა N6/8, ბინა N75

ტელ.:+9955 77 47 94 43

ელ.ფოსტა: sesu_nana@mail.ru

6.4. „მყიდველი“ ვალდებულია, შეატყობინოს „გამყიდველს“ მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „გამყიდველის“ მიერ „მყიდველის“ ძველ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად".

1.7. „ნასყიდობის ხელშეკრულებას დაემატოს 6.5 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.5. „ნასყიდობის ხელშეკრულების" 6.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, თუ „გამყიდველის" მიერ „მყიდველის" მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარება ვერ განხორციელდა ზედიზედ ორჯერ, კორესპონდენცია ჩაითვლება „მყიდველისათვის" ჩაბარებულად მისი „გამყიდველისათვის" ხელმეორედ დაბრუნების დღიდან."

მუხლი 2

მხარეები თანხმდებიან, რომ „მყიდველი" თავისუფლდება „ნასყიდობის ხელშეკრულების" საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან „ცვლილების ხელშეკრულების" გაფორმებამდე არსებული პერიოდისათვის იმ პირობით, რომ იგი შეასრულებს „ნასყიდობის ხელშეკრულების" 2.1.5 და 2.1.6 მუხლებით დადგენილ საპრივატიზებო პირობებს. აღნიშნული მუხლებით დადგენილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „მყიდველი" ვალდებულია გადაიხადოს „ცვლილების ხელშეკრულების" გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლო.

მუხლი 3

3.1. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში" წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულებით" შესული ცვლილებები არ ცვლის „ნასყიდობის ხელშეკრულების" სხვა მუხლების შინაარსს.

3.2. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში" წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულებით" განხორციელებული ცვლილებები მიიჩნევა „ნასყიდობის ხელშეკრულების" შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება მისი განმარტების დროს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3.3. წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება" ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

3.4. „ცვლილების ,ხელშეკრულება" შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა „მხარეებს" და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

„გამყიდველი"

„სსიპ - სახელმწიფო ქონების

ეროვნული სააგენტო"

წარმომადგენელი:

სოფიკო მეშველიშვილი

„მყიდველი"

შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი"

წარმომადგენელი: ალექსანდრე ხარებავა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №660
თარიღი "24" ოქტომბერი 2016 წ.
გვ რაოდენობა 12ც ხელმოწერა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა
(უფლებამონაცვლე: სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და
შპს „ჰელსი-ჯორჯია“-ს შორის 2011 წლის 31 მარტს
გაფორმებულ №1 ა.პ. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილ(ებ)ის/აქცი(ებ)ის
პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის
ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 26 ივნისი, 2015 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (შემდეგში, „გამყიდველი“), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის, მარიამ სახვაძის (პირადი №01008047481) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2015 წლის 23 აპრილს გაცემული №4/22695 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **შპს „ჰელსი-ჯორჯია“** (ს/კ №404882294), ამჟამად, **შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი“** (ს/კ №404882294) (შემდეგში, „მყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის, ალექსანდრე ხარებავას (პირადი №01024020426) სახით,

ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე როგორც „მხარე“,

ვხელმძღვანელობთ რა, „სს „აკად. ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი“-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ლარიანი ნომინალური ღირებულების 1,103,372 ცალი აქციის (სახელმწიფო წილი კაპიტალში 100%) საჯარო აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის №1-1/29 ბრძანებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საპრივატიზებო პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის №1025 განკარგულებითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს „ჰელსი-ჯორჯია“-ს (ამჟამად, შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი“) შორის 2011 წლის 31 მარტს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გაფორმებული №1 ა.პ. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილ(ებ)ის/აქცი(ებ)ის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულებით (შემდეგში, „ნასყიდობის ხელშეკრულება"), ვდებთ წინამდებარე ცვლილების ხელშეკრულებას (შემდეგში, „ცვლილების ხელშეკრულება") შემდეგზე:

მუხლი 1

1.1 „ნასყიდობის ხელშეკრულების" 2.1.5 , 2.1.6 და 2.1.7. მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1.5. უზრუნველყოს შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრის" (ს/კ №404882294) საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, ჩაჩავას ქ. №3-ში (ნაკვ. 07/018) მდებარე 6267.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე: №1 - საერთო ფართობით - 6760.51 კვ.მ, №2, №3, №4, №5 და №6 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.13.02.007.018) ან/და შპს „ინტელ მედის" (ს/კ №404928147) საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, ჩაჩავას №5-ში მდებარე 6488.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე: №1 (მშენებარე), №2, №3, №4, №5, №6 და №7 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.13.02.007.024), 2018 წლის პირველ ივლისამდე, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, სამედიცინო დაწესებულების მშენებლობა, ექსპლუატაციაში მიღება და შესაბამისი ნებართვის მოპოვება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ა) 2015 წლის ბოლომდე - მშენებლობის ნებართვის მიღება;

ბ) 2016 წლის პირველ მაისამდე - მშენებლობის დაწყება;

გ) 2018 წლის პირველ ივლისამდე - სამედიცინო დაწესებულების ექსპლუატაციაში მიღება, შესაბამისი ნებართვ(ებ)ის მოპოვება, მათ შორის, კადრების შერჩევა/ტრენინგი.

2.1.6. „ხელშეკრულების" 2.1.5 მუხლით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობ(ებ)ის შესრულების მიზნით, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით უზრუნველყოს არანაკლებ 8 000 000 (რვა მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება.

2.1.7. „ხელშეკრულების" 2.1.5. მუხლით გათვალისწინებული სამედიცინო დაწესებულებისათვის, მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან 30 (ოცდაათი) წლის განმავლობაში, ჯანდაცვის პროფილის შენარჩუნება."

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1.2. „ნასყიდობის ხელშეკრულებას“ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.1.8 და 2.1.9. მუხლები:

„2.1.8. „ხელშეკრულების“ 2.1.5 და 2.1.6 მუხლებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა „გამყიდველის“ წარუდგინოს აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ/ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელიც უნდა ასახავდეს „ხელშეკრულების“ 2.1.5 და 2.1.6 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

2.1.9. „ხელშეკრულების“ 2.1.7 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა „გამყიდველის“ წარუდგინოს აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ/ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელიც ასახავს „ხელშეკრულების“ 2.1.7 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.“

1.3. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 2.3.1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.3.1. „გამყიდველი“ ვალდებულია, „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამისი ვალდებულების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1.4. „ნასყიდობის ხელშეკრულებას“ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.4 მუხლი:

„2.4. „ხელშეკრულების” 2.1.5. და 2.1.6 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დადასტურება „გამყიდველის“ მიერ განხორციელდება „მყიდველის“ მიერ „გამყიდველისათვის“ „ხელშეკრულების“ 2.1.8. მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, ხოლო „ხელშეკრულების” 2.1.7 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დადასტურება „გამყიდველის“ მიერ განხორციელდება „მყიდველის“ მიერ „გამყიდველისათვის“ „ხელშეკრულების“ 2.1.9 მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

1.5. „ნასყიდობის ხელშეკრულებას“ დაემატოს მე-3[1] მუხლი:

„მუხლი 3[1]. საბანკო გარანტია

3.1[1] სს „თიბისი ბანკის“ მიერ 2015 წლის 12 ივნისს გაცემული №121786-7982711 საბანკო გარანტიის ცვლილების შესახებ სს „თი ბი სი ბანკის“ მიერ 2015 წლის 25 ივნისს გაცემული საბანკო გარანტია (შემდეგში, „საბანკო გარანტია“) უზრუნველყოფს ხელშეკრულების 2.1.5 და/ან 2.1.6 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და/ან ამავე ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.

3.2[1] „მყიდველი“ ვალდებულია „საბანკო გარანტიის“ თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 (ერთი) თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე.

3.3[1] „მყიდველის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად „გამყიდველის“ მხრიდან, ხელშეკრულების 4.8[1] და/ან 4.9[1] მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, „საბანკო გარანტიის“ თანხა სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.“

1.5. „ნასყიდობის ხელშეკრულებას“ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4[1] მუხლი („მხარეთა” პასუხისმგებლობა და „ხელშეკრულების” შეწყვეტა):

„4.1.[1] „ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველი” იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესახებ და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნას გადახდილი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4.2[1] „ხელშეკრულების“ 2.1.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

4.3[1] „ხელშეკრულების” 2.1.5. მუხლით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.4[1] „ხელშეკრულების” 2.1.6 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.5[1] „ხელშეკრულების” 2.1.7. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.6[1] „ხელშეკრულების” 3.2[1] მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო საბანკო გარანტიის შესავსები თანხის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.7[1] „ხელშეკრულებით“ ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თითოეული ვალდებულების დარღვევისათვის „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.8[1] „მყიდველის” მიერ „ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში „გამყიდველს” უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება”.

4.9[1] „ხელშეკრულების“ ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, „ქონება” უბრუნდება „გამყიდველს”. „მყიდველს” არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები, ხოლო „ქონებაზე“ რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება.

4.10[1] „ხელშეკრულების” მოქმედების პერიოდში, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს” „ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

2.1. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში" „ცვლილების ხელშეკრულებით" განხორციელებული ცვლილებები არ ცვლის „ნასყიდობის ხელშეკრულების" სხვა მუხლების შინაარსს.

2.2. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში" „ცვლილების ხელშეკრულებით" განხორციელებული ცვლილებები მიიჩნევა „ნასყიდობის ხელშეკრულების" შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება მისი განმარტების დროს.

2.3. წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება" ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

2.4. „მყიდველი" ვალდებულია დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

2.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა „მხარეებს" და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს.

„გამყიდველი"
სსიპ - სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო
წარმომადგენელი:
მარიამ სახვაძე

მარიამ სახვაძე

„მყიდველი"
შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი"
წარმომადგენელი:
ალექსანდრე ხარებავა

ალექსანდრე ხარებავა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №580
თარიღი 26 ივნისი 2015 წ.
გაფორმდა 06 საათი 55 წთ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ჰელსი-ჯორჯია"-ს შორის 2011 წელს 31 მარტის №1 ა.ჰ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილ(ებ)ს აქცი(ებ)ის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულებაში დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

15 აპრილი 2011 წელი

ერთი მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემდგომში გამყიდველი) წარმოდგენილი სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თამარ ჯაბანიშვილის სახით /პ№35001023849, მოქმედი 2011 წლის 30 მარტის №06/6203 მინდობილობის საფუძველზე და მეორე მხრივ შპს „ჰელსი-ორჯია" -ს შორის /საიდ. კოდი 404882294/, შემდგომში მყიდველი, წარმოდგენილი ავთანდილ იმედაძის სახით, მოქმედი 21.01.2011 წლის №110051382 რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმების საფუძველზე, ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილ(ებ)ს აქცი(ებ)ის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას 2011 წელს 31 მარტის №1 ა.ჰ. ნასყიდობის ხელშეკრულების მერვე მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით :

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ჰელსი-ჯორჯია"-ს შორის 2011 წელს 31 მარტის №1 ა.ჰ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილ(ებ)ს აქცი(ებ)ის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს დამატება და ხელშეკრულების 2.1 პუნქტს დაემატოს 2.1.5, 2.1.6 და 2.1.7 ქვეპუნქტები, რომლებიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.1.5. უზრუნველყოს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ჩაჩავას ქუჩა №3-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.13.02.007.018) ჯანდაცვის პროფილით ფუნქციონირება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) წლის განმავლობაში.

2.1.6 ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის №1-1/29 ბრძანების მესამე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში მითითებულ ობიექტში (ქ. თბილისი, ჩაჩავას ქუჩა №3) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.13.02.007.018) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად, მანქანა დანადგარების,

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სამედიცინო ინვენტარისა და აპარატურის შესაძენად 700 000 (შვიდასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება.

2.1.7 წარმოადგინოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში ამ პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების 10% ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რომლის ვადაც ორი თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შერულებას.

2.ხელშეკრულება ხელმოწერილის 4 ეგზემპლარად.

3. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილ(ებ)ს აქცი(ებ)ის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას 2011 წელს 31 მარტის №1 ა.ჰ. ნასყიდობის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია 2011 წლის 31 მარტიდან.

ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტრო

თამარ ჯაბანიშვილი

შპს „ჰელსი-ჯორჯია"

ავთანდილ [illegible]

შპს "ჰელსი-ჯორჯია"
404882294
HEALTHY GEORGIA LTD

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ჰელსი-ჯორჯია"-ს შორის 2011 წელს 31 მარტის №1 ა.პ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებს) აქცი(ებ)ის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას წასყიდობის ხელშეკრულებაში დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 15 აპრილი 2011 წელი

ერთი მხრივ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემდგომში „გამყიდველი") წარმოდგენილი სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თამარ ჯაბანაშვილის სახით (პ№35001023849), მოქმედი 2011 წლის 30 მარტის №06/6203 მინდობილობის საფუძველზე და მეორე მხრივ შპს „ჰელსიჯორჯია" -ს შორის (საიდ. კოდი 404882294), (შემდგომში „მყიდველი"), წარმოდგენილი ავ თანდილ იმე დაბის სახით, მოქმედი 21.01.2011 წლის №1100051382 რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმების საფუძველზე, ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებს) აქცი(ებ)ის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას 2011 წელს 31 მარტის №1 ა.პ. წასყიდობის ხელშეკრულების მერვე მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ჰელსი-ჯორჯია"-ს შორის 2011 წელს 31 მარტის №1 ა.პ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებს) აქცი(ებ)ის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას წასყიდობის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს დამატება და ხელშეკრულების 2.1 პუნქტს დაემატოს 2.1.5, 2.1.6 და 2.1.7 ქვეპუნქტები, რომლებიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.1.5. უძრავ ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ჩახავას ქუჩა №3-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.13.02.007.018) ჯანდაცვის პროფილით ფუნქციონირება წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) წლის განმავლობაში.

2.1.6 წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის №1-1/29 ბრძანების მესამე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში მითითებულ ობიექტში (ქ. თბილისი, ჩახავას ქუჩა №3) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.13.02.007.018) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად, მანქანა დანადგარების,

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სამედიცინო ინვენტარისა და აპარატურის შესაძენად 700 000 (შვიდასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება.

2.1.7 წარმოადგინოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში ამ პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების 10% ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რომლის ვადაც ორი თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულებას.

2.ხელშეკრულება ხელმოწერილია 4 ეგზემპლარად.

3. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილ(ებ)ს აქცი(ებ)ის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას 2011 წლის 31 მარტის №1 ა.პ. ნასყიდობის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია 2011 წლის 31 მარტიდან.

ეკონომიკისა და მდგრადი	შპს „ჰელსი-ჯორჯია"
განვითარების სამინისტრო	
თამარ ჯაბანიშვილი	[illegible]

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

KA021783543649114

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N4/20498

06 / ივნისი / 2014 წ.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს "ჰელსი ჯორჯია'-ს (ს/კ 404882294) შორის 2011 წლის 31 მარტს (ცვლილების ხელშეკრულება 2011 წლის 15 აპრილი) გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად **კომპანიას პირობადებულ საკუთრებაში გადაეცა** სს "აკად. ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ლარიანი ნომინალური ღირებულების 1103372 ცალი აქცია. (სახელმწიფო წილი კაპიტალში 100% ს/კ 201950843). ქონების საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 920 000 (ცხრაას ოცი ათასი) ლარის ოდენობით.

ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებების შესრულება მათ შორის:

- უზრუნველყოს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქ. თბილისი, ჩაჩავას ქუჩა №3-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.13.02.007.018) ჯანდაცვის პროფილით ფუნქციონირება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან (31.03.2011წ) 7 წლის განმავლობაში
- ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში (31.03.2014წ.) ქ. თბილისი, ჩაჩავას, ქუჩა №3 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.13.02.007.018) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად, მანქანა დანადგარების, სამედიცინო ინვენტარის და აპარატურის შესაძენად 700 000 (შვიდასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება;

შპს „ჰელსი ჯორჯია"-მ (ს/კ 404882294) შეიცვალა სახელწოდება და გახდა შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი" (ს/კ 404882294).

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიამ სახელმწიფოს წინაშე იკისრა ვალდებულება უზრუნველყოს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქ. თბილისი, ჩაჩავას ქუჩა №3-ში მდებარე უძრავი ქონებაზე (მიწის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

(უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.13.02.007.018) 7 წლის განმავლობაში შეინარჩუნოს პროფილი და განახორციელოს გათვალისწინებული ინვესტიცია, გთხოვთ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით №01.13.02.007.018 არსებულ სარჯარო რეესტრის ჩანაწერში გრაფაში „ვალდებულება“ დაარეგისტრიროთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს “ჰელსი ჯორჯია’-ს (ს/კ 404882294) შორის 2011 წლის 31 მარტს (ცვლილების ხელშეკრულება 2011 წლის 15 აპრილი) გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად ნაკისრი ვალდებულები. აღნიშნული ჩანაწერი გაუქმდება მას მერე, რაც კომპანია შეასრულებს ზემოხსენებული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და მიიღებს შესაბამის დადასტურებას.

დანართი: ნასყიდობის ხელშეკრულება და ხელშეკრულებაში ცვლილება

პატივისცემით,

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის
შემსრულებელი

დიმიტრი შანიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ეროვნული რეესტრი

NATIONAL REGISTER

№ 01-009

18 თებერვალი 2013 წ.

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს
სახელშეკრულებო ვალდებულებათა
მონიტორინგის სამმართველოს
უფროსს ბატონ დიმიტრი შანიძეს

ბატონო დიმიტრი,

თქვენი ამა წლის 13 თებერვლის #4/2707 წერილის პასუხად მოგაწვდით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ჰელსი ჯორჯიას" შორის 2011 წლის 31 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ჩვენთან არსებული ეგზემპლიარის ასლს.

დირექტორი   [signature]   მ. აბრამიშვილი

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
შემოსვლის № 5608/04
„21" 02 2013
1+5გ ფურცელი

საქართველო, 0177 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41, VI სართ.
Vazha-pshavela ave.41, VI floor, 0177 Tbilisi, GEORGIA
nregister@access.sanet.ge
TEL.: (+995 32) 2311173, 2311174, 2311175

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილი(ებ)ს/აქცი(ებ)ის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება

№ 1 ა.პ

2011 წლის 31 მარტი საქართველო, თბილისი

წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) გაფორმდა ერთის მხრივ, სახელმწიფო ქონების პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოსა (შემდგომში „გამყიდველი“) - *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს* წარმოდგენილი *პრივატიზების დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თამარ ჯაბანიშვილის (პ/ნ 35001023849)* სახით, მოქმედი *2011 წლის 30 მარტის №06/6203 მინდობილობის საფუძველზე* და მეორეს მხრივ, სახელმწიფო ქონების შემძენს შპს „ჰელსი-ჯორჯია“-ს *(საიდ. კოდ 404882294)* (შემდგომში „მყიდველი“), წარმოდგენილი *ავთანდილ იმედაძის (პ/ნ 01024003447)* სახით, მოქმედი 21.01.2011 წლის №110051382 რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმების საფუძველზე, შორის,
თითოეული წოდებული მხარედ, ხოლო ერთობლივად - მხარეები,

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი, საპრივატიზებო საფასური და ანგარიშსწორება

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად, გამყიდველი ასხვისებს, ხოლო მყიდველი იძენს სახელმწიფო საკუთრებაში წილ(ებ)ს/აქცი(ებ)ს (შემდგომში - ქონება) *სს „აკად. ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ლარიანი ნომინალური ღირებულების 1103372 ცალი აქცია. (სახელმწიფო წილი კაპიტალში 100%) (საიდ. კოდი 201950843)*

1.2 მყიდველი, გადაიხდის საპრივატიზებო საფასურს *920 000* (ცხრაას ოცი ათასი) ლარის ოდენობით, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად, გამყიდველის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშ(ებ)ზე თანხის ჩარიცხვის გზით:

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
საბანკო კოდი: 220101222
საპრივატიზებო საფასურისათვის ანგარიშის ნომერი: 200122900, 302005000 (სახაზ.კოდი)

1.3 საბოლოო ანგარიშსწორებისას მყიდველს გადახდილი "ზე" ეთვლება საპრივატიებო შემოსულობის ნაწილად.

1.4 მყიდველი ვალდებულია ქონების საპრივატიზებო საფასური გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



1.5 თუ ვადის ბოლო დღე არ ემთხვევა სამუშაო დღეს, გადახდის ვადად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1 მყიდველი ვალდებულია:

2.1.1 გადაიხადოს საპრივატიზებო საფასური 1.4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

2.1.2 დაფაროს ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები..

2.1.3 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე გამყიდველს წარუდგინოს ინფორმაცია გამყიდველის მოთხოვნისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს მოთხოვნის ჩაბარებიდან 14 კალენდარული დღისა.

2.1.4. საპრივატიზებო საფასურის გადახდისას საგადახდო დოკუმენტის დანიშნულების ველში მიუთითოს ნასყიდობის ხელშეკრულების ნომერი, თარიღი და ხელშეკრულების მხარეები.

2.3 გამყიდველი ვალდებულია:

2.3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გასცეს ამ ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების წერილობითი დადასტურება, რაც შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში ვალდებულების გაუქმების ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

3. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები.

3.1 ქონებაზე მყიდველს საკუთრების უფლება გადაეცემა ქონების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ, რომელთანაც ერთადაც უნდა დარეგისტრირდეს საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულება.

3.2 საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს 1.2 პუნქტში მითითებულ საპრივატიზებო საფასურის ანგარიშზე საპრივატიზებო საფასურის გადარიცხვის/შეტანის დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტი.

3.3. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან.

3.4 საკითხები რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1 აუქციონის შედეგები უქმდება და ქონება ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში, თუ მყიდველი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენს საპრივატიზებო საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს. ამასთან, მყიდველს არ აუნაზღაურდება გაწეული დანახარჯები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4.2. ქონების პრივატიზებისას, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში საპრივატიზებო საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში გამყიდველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში უქმდება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მყიდველის საკუთრების უფლება და ქონება რეგისტრირდება სახელმწიფოს საკუთრებად.

4.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5. ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება გამყიდველის ან მყიდველის კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის, და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით, (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ მხარის კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ მხარეს არ შეეძლო.

5.2 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ხსენებული გარემოების როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

5.3 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში, მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადავადდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

5.4 ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5.5 გამყიდველს უფლება აქვს 30 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს ფორს მაჟორის გაგრძელების შემთხვევაში განიხილოს წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ან შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხი.

6. შეტყობინებები და ენა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. Xელმოწერილია 4 ეგზემპლარად.

6.2 ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად, ფაქსის, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისამართებზე.

გამყიდველის შეტყობინების მონაცემები

მიმღები მხარე : საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
იურიდიული მისამართი : გ. ჭანტურისა ქ. №12
ტელ: +995 (32) 991022
თბილისი, საქართველო;
ფაქსი: +995(32)923904

მყიდველის შეტყობინების მონაცემები
მიმღები მხარე: შპს ჰელსი - ჯორჯია
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონი, საირმის ქ. კორპ 2, ბ.16
ტელეფონი 899 565904 , +995(32)393190

6.3 თითოეული მხარე მისამართის შეცვლის შემთხვევაში ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძველ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება.

6.4 შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება ადრესატისთვის მისი გადაცემის ან გაცნობის მომენტიდან.

7. დავების გადაწყვეტა

7.1 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში სადავო საკითხი წყდება მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8. ცვლილებები და დამატებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა ან დამატების განხორციელება დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც გაფორმდება როგორც ცალკე ხელშეკრულება და დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

გამყიდველი

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

თამარ ჯაბანიშვილი

მყიდველ

შპს ჰელსი-ჯორჯია

ავთანდილ იმედაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com